შეთანხმება

უძრავი ქონების ვალდებულებით ნასყიდობის ხელშეკრულების (განცხადების რეგისტრაციის #882019262233, 08/04/2019) და #882019262297, 08/04/2019) მოშლის თაობაზე

29 ოქტომბერი, 2020 წ.

შპს სამშენებლო კომპანია მონუმენტმშენი, საიდ. კოდი: 204550725, წარმოდგენილი მისი დირექტორის თემურ გვაგვალიას სახით, ერთის მხრივ, და მიხეილ გიუაშვილი (პ/ნ #01017021817), მეორეს მხრივ,

ჩვენს მიერ გაფორმებულ 2019 წლის 8 აპრილის #882019262233 ხელშეკრულების მე-4 მუხლის და #882019262297 ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად ვაცხადებთ თანხმობას აღნიშნული ხელშეკრულებების მოშლის თაობაზე.

მიხეილ გიუაშვილს ნასყიდობის საგანი უბრუნდება პირვანდელ მდგომარეობაში და მხარეებს ეხსნებათ ერთმანეთის მიმართ ხელშეკრულებებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

ასევე მხარეები თანხმდებიან, რომ მიწის ნაკვეთების: ქალაქი თბილისი, ქუჩა წავკისი, #4; ქალაქი თბილისი, ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილის) #45; ქალაქი თბილისი, ქუჩა ამაღლება, #47 (საკადასტრო კოდი 01.15.05.088.083) და ქალაქი თბილისი, ქუჩა წავკისი, #4; ქალაქი თბილისი, ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილის) #45; ქალაქი თბილისი, ქუჩა ამაღლება, #47 (საკადასტრო კოდი 01.15.05.088.082) საჯარო რეესტრის ამონაწერის ვალდებულების გრაფაში გაუქმდეს შპს სამშენებლო კომპანია მონუმენტმშენის ვალდებულებები მიხეილ გიუაშვილის მიმართ.

01.15.05.088.082, 01.15.05.088.083, 01.15.05.088.084 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავი ქონების მიმართ დარჩენილი ვალდებულების მოხსნისას მიხეილ გიუაშვილის დამატებითი თანხმობა საჭირო არ არის. აღნიშნული შეთანხმება ჩაითვალოს თანხმობის გაცემად.

მხარეები თანხმდებიან, ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების ჩაბარება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მიზნით, დაეკისროს შპს სამშენებლო კომპანია მონუმენტმშენს.

მხარეთა რეკვიზიტები:

გამყიდველი:	მყიდველი:
მიხეილ გიუაშვილი (პ/ნ #01017021817),	შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია მონუმენტმშენი" (ს/კ 204550725) თემურ გვაგვალია (პ/ნ 62006061442) E-mail: monumentmsheni@gmail.com, ტელ. 591700150
მიხეილ გიუაშვილი	თემურ გვაგვალია

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასოცი წლის ოცდაცხრა ოქტომბერს მე, ნოტარიუსს, ნინო მასხულიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართეს ბატონმა **თემურ გვაგვალიამ** და ბატონმა **მიხეილ გიუაშვილმა.**

ბატონმა თემურ გვაგვალიამ განაცხადა, რომ არის **შპს „სამშენებლო კომპანია მონუმენტმშენი“–ს, საიდენტიფიკაციო №204550725,** დირექტორი.

მათ წარმოადგინეს **2020 წლის 29 ოქტომბერს მომზადებული შეთანხმება უძრავი ქონების ვალდებულებით ნასყიდობის ხელშეკრულების (განცხადების რეგისტრაციის №882019262233, 08/04/2019 და №882019262297, 08/04/2019) მოშლის თაობაზე,** ერთ გვერდზე, სამ ცალად და მოითხოვეს შეთანხმებაზე თავიანთი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართეს ბატონმა **მიხეილ გიუაშვილმა,** დაბადებულმა 1984 წლის 1 იანვარს თბილისში, პირადი №01017021817, რეგისტრირებულმა ქ.თბილისში, ამაღლების ქუჩა №47 და ბატონმა **თემურ გვაგვალიამ,** დაბადებულმა 1973 წლის 1 თებერვალს გალში, პირადი №62006061442, რეგისტრირებულმა ქ.თბილისში, ახალი კოჯრის გზა №7, ბინა 22.

მე მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. განვუმარტე, რომ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერები ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირებს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე. ამ განმარტების შემდეგ ბატონმა მიხეილ გიუაშვილმა და ბატონმა თემურ გვაგვალიამ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი შეთანხმებაზე. ვამოწმებ ორი ხელმოწერის სინამდვილეს, ერთ გვერდზე, სამ ცალად.

გადახდილია 16,16 ლარი - აქედან: საზღაური 12,00 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.3 მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 2,16 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169–ე მუხლისა.

ნოტარიუსი: ნინო მასხულია



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200885487
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.10.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მასხულია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2997150
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	38914822780520

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18